

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

XXVI



ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

Anzor Erkomaishvili Folklore State Centre

ფონდი ქართული გალობა

Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა ანთოლოგია

ტომი XXVI

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

დიდი შაბათის საგალობლები

(I ნაწილი)

Georgian Chant

Anthology

Volume 26

The Chant Tradition of Western Georgia

The Chants of Great Saturday

(Part I)

თბილისი

Tbilisi

2023



ანთოლოგიის XXVI—XXVII ტომებში წარმოდგენილია ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებში და, ასევე, ქორიძის გამოცემებში მოცემული დიდი შაბათის საგალობლები — ამ დღის ლიტურგიკულ განგებათა ყველა ჰიმნი, ღვთისმსახურების „სრულიად გალობით“ შესასრულებლად. ხსენებული ხელნაწერები დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ და ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრებში. XXVI—XXVII ტომებში წარმოდგენილ ჰიმნთა აბსოლუტური უმრავლესობა პირველად გამოიცემა. ამ ტომებში, ასევე, შესულია, ანთოლოგიის შემდგენელ-რედაქტორთა მიერ შესაბამის მელოდიურ დედნებზე, სამგალობლო ტრადიციის შესაბამისად განწყობილი ნიმუშებიც. დიდი შაბათის სრული სამგალობლო ციკლი, ქართული მუსიკის ისტორიაში, პირველად გამოიცემა.

Presented in Anthology Volumes 26-27 are the chants of Great Saturday shown in the manuscripts by Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze, as well as in Koridze's published scores in order to fully sing this day's liturgical services. These manuscripts are kept at the Korneli Kekelidze National Center of Manuscripts and Anzor Erkomaishvili Folklore State Center. The absolute majority of these chants is being printed for the first time. There are also some works in the present volume that have been arranged by anthology editors to the corresponding original melodic sources in agreement with the chant tradition. The complete chant cycle of Great Saturday is being published for the first time in the history of Georgian music.

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

XXVI ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compilers and musical editors of Volume 26: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილისა და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორი: რუსუდან წურნუშია
Editors: Rusudan Tsurtsumia

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი
Translator: Eirik Halvorson

გამოცემაზე მუშაობდნენ: ნინო რაზმაძე, ელიზბარ ხაჩიძე
The publication was prepared by: Nino Razmadze, Elizbar Khachidze

კონსულტანტები: არქიდაკონი დემეტრე დავითაშვილი, მონოზონი ნინო სამხარაძე, გიორგი ბარკავა, ევგენი სკურატი
Consultants: Archdeacon Demetre Davitashvili, Nun Nino Samkharadze, Giorgi Barkava, Eugene Skurat

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Computer services: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი: ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

© ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Anzor Erkomaishvili Folklore State Centre

© ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802-100-95-4 (ყველა ტომის)
ISMN 979-0-802-101-94-4 (ოცდამეექვსე ტომის)

შესავალი (XXVI—XXVII ტომებისათვის)

ანთოლოგიის XXVI—XXVII ტომებში წარმოდგენილია ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჭდენ ხუნდაძის ხელნაწერებში და, ასევე, ქორიძის გამოცემებში მოცემული დიდი შაბათის ჰიმნები.

დიდი შაბათის ღვთისმსახურება, ერთი მხრივ, დიდი პარასკევის მსახურების გაგრძელებაა — მაცხოვრის ვნებანი, სიკვდილი და გამომხსნელი მსხვერპლი, დედა ღვთისმშობლის დატირება და მორწმუნეთა გლოვა ქრისტეს სიკვდილის გამო აქაც ღვთისმსახურების შინაარსობრივი, თეოლოგიური, ფილოსოფიური თუ რიტუალურ-მუსიკალური ცენტრია. იმავდროულად, დიდი შაბათი წინ უძღვის იესოს სასწაულებრივი და გამომხსნელი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ამდენად, გლოვის თემასთან ერთად, დიდი შაბათის მუსიკალურ-ლიტერატურული შინაარსი თანდათან იმსჭვალება აღდგომის მოლოდინის, რწმენისა და სიხარულის იდეებითა და ემოციებით. ვნების შვიდეულის სხვა დღეთა (განსაკუთრებით, დიდი ხუთშაბათისა და პარასკევის) ღვთისმსახურებების მსგავსად, გრანდიოზული ციკლი რამდენიმე საათის მანძილზე გრძელდება და ღმერთ-კაცის წამებასა და სიკვდილზე, მის დაკრძალვაზე და შვილ-მკვდარი მარიამის განცდებზე გლოვის განწყობებიდან ნელ-ნელა გადაჰყავს მონაწილე და მლოცველი მორწმუნენი აღდგომის მოლოდინისა და შეხვედრის მომენტებამდე.

დიდი შაბათის მუსიკალური ციკლი რამდენიმე საღვთისმსახურო განგების მანძილზე სრულდება — ცისკარზე, მწუხრსა და მასთან შეერთებულ ბასილი დიდის ლიტურგიაზე, და უშუალოდ სააღდგომო მსახურების წინ ჩასატარებელ შუალამიანის ჟამზე. ამ განგებებზე საგალობელ ვრცელ მუსიკალურ მასალას ემატება ვრცელი ბიბლიური საკითხავებიც — სახარებასა და სამოციქულოსთან ერთად, საკმაოდ მოცულობითი (მაცხოვრის ვნებებისა და აღდგომის მომასწავებელი) ფრაგმენტები ძველი აღთქმის საწინასწარმეტყველო წიგნებიდან. განსაკუთრებით მშვენიერია და მორწმუნეთა სიყვარულით სარგებლობს გარდაცვლილი მაცხოვრის შემკობილი (ხშირად, ტრადიციულად, ნაქარგობით შესრულებული) ხატის — „გარდამოხსნის“ ლიტანია-გალობით შემოტარება ტაძრის გარშემო და შემდეგ 118-ე ფსალმუნის გალობა მის მუხლებზე დართული გამომსახველი ჰიმნებით. ხალხურმა რწმენამ დიდი შაბათის ცისკრის განგებას მაცხოვრის „წესის აგების“ მსახურება უწოდა — გარდაცვალებულთა დაკრძალვის-წინა საბოლოო ღვთისმსახურების „წესის აგების“ რიტუალთან სტრუქტურული მსგავსების გამო. ცხადია, შინაარსობრივად შეუძლებელია, გარდაცვლილის სულის საოხი „წესისა“ და მაცხოვრის ვნებათა და აღდგომის განგების შედარებაც კი. მაგრამ, დიდი შაბათის მსახურების ამგვარ ხალხურ აღქმაში ნამდვილად ჩანს ქრისტიანული კაცობრიობის ხედვა და განცდა იესოს პიროვნებაში ადამიანურისა და ღვთაებრივის ჰარმონიული ერთიანობისა, „კაცის ძის“ ამქვეყნიური ბედის და განსაცდელთა სიახლოვისა ადამიანური ცხოვრების ყველაზე დიდ ტკივილებთან...

დიდი შაბათის მისტერიის დასავლურ ქართული ტრადიციის საგალობლები დაფიქსირებულია ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერებში¹ (რომლებიც დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრებში) და ფ. ქორიძის სანოტო გამოცემებში. ამ ჰიმნთა ქორიძისთვის გადამცემნი არიან ანტონ და დავით დუმბაძეები, დიმიტრი ჭალაგანიძე, არისტოვლე ქუთათელაძე, ივლიანე წერეთელი, რაჟდენ ხუნდაძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ნესტორ კონტრიძე...²

ანთოლოგიის XXVI—XXVII ტომებში მოცემული დიდი შაბათის ჰიმნები და მათი მელოდიური „დედნები“ 32 სანოტო წყაროშია თავმოყრილი.

ესენია:

ხელნაწერები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან:

- | | | | |
|---------------|-----------|-----------|-----------|
| 1. H154-IV; | 7. Q666; | 13. Q677; | 19. Q689 |
| 2. H154-V; | 8. Q668; | 14. Q680; | 20. Q690; |
| 3. H154-VI; | 9. Q670; | 15. Q683; | 21. Q692; |
| 4. H154-VII; | 10. Q672; | 16. Q685; | 22. Q693; |
| 5. H154-VIII; | 11. Q673; | 17. Q687; | 23. Q694; |
| 6. H154-IX; | 12. Q674; | 18. Q688; | |

ხელნაწერები ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრიდან:

- | | |
|-------------------|-------------------|
| 1. ხუნდაძე, 2100; | 5. ხუნდაძე, 2123; |
| 2. ხუნდაძე, 2101; | 6. ხუნდაძე, 2124; |
| 3. ხუნდაძე, 2121; | 7. ხუნდაძე, 2127; |
| 4. ხუნდაძე, 2122; | |

სანოტო გამოცემები:

1. ქორიძე, 1899;
2. ქორიძე, 1901.

¹ აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციის დიდი შაბათის ჰიმნები, სამწიგნობროდ, არასრული სახით, მცირე რაოდენობითაა ნოტირებული ძმები კარბელაშვილებისა და სხვათა მიერ. ისინი ანთოლოგიის შესაბამის ტომებში დაიბეჭდება.

² ამის შესახებ, უფრო კონკრეტულად, ქორიძისა და კერესელიძის სანოტო ხელნაწერებში და ქორიძის გამოცემებშია აღნიშნული. იხ. შულღიაშვილი, 2013.

ანთოლოგიის XXIII—XXV ტომებში დაბეჭდილი დიდი ხუთშაბათისა და დიდი პარასკევის განგებების მსგავსად, დიდი შაბათის განგებაც თავიდან ბოლომდე, მთლიანი თანმიმდევრობის სახით, არც ერთ სანოტო წყაროში არაა ნოტირებული. ზოგიერთ ხელნაწერში დიდი შაბათის ცისკრის ან მწუხრის ცალკეული ჰიმნები ან მათი ჯგუფებია (მაგ., „გალობანი“) მოცემული. ჩვენ, ბოლო საუკუნეების „მარხვანის“ მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი 32 წყაროდან თავი მოვუყარეთ დიდი შაბათის მთელ სამგალობლო მასალას და ერთიანი ციკლის სახე მივეცით — ისე, როგორც ის იგალობებოდა საუკუნეების მანძილზე, XIX საუკუნემდე.

წინამდებარე XXVI და XXVII ტომებში მოცემულია დიდი შაბათის ყველა განგების ყველა ჰიმნი.

აღვნიშნავთ, რომ, როგორც ანთოლოგიის XXIII—XXV ტომების შემთხვევებში, დიდი შაბათის ზოგიერთი ჰიმნიც სრულად, სამ ხმაშია ჩანერილი, ზოგის მხოლოდ I ხმაა ნოტირებული. გვხვდება საგალობლები, რომლებიც რამდენიმე ვარიანტის სახითაა შემორჩენილი, ზოგიერთი კი, მხოლოდ ერთ ვარიანტადაა შემონახული. მათ შორისაა ისეთებიც, რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეების წყაროებში ან თანამედროვე ღვთისმსახურებაში გუნდის მიერ არ იგალობება,³ თუმცა, მაღალი და გვიანი შუა საუკუნეების ქართული საღვთისმსახურო ტრადიციით იგალობებოდა გუნდების მიერ. ამრიგად, ანთოლოგიის XXIII—XXVII ტომებში მოცემული დიდი ხუთშაბათის, პარასკევისა და შაბათის „სრული გალობით“ ჩატარების ტრადიციის (როდესაც, გუნდების მიერ ანტიფონურად იგალობებოდა ყველა ლიტურგიკული ტექსტი, გარდა სამღვდლო ლოცვა-ასამაღლებლებისა და ბიბლიური საკითხავებისა) აღდგენა, დღეისათვის, სავსებით შესაძლებელია

დიდი ხუთშაბათისა და პარასკევის მსგავსად, ამ ამოცანის შესასრულებლად, საჭირო გახდა, „მარხვანში“ მითითებულ მელოდიურ „დედნებზე“/წყაროებზე იმ საგალობლების კონტრაფაქტურის მეთოდით განყოფილება, რომლებიც სანოტო ხელნაწერებში შემონახული არაა.

ჩვენ, თითოეულ საგალობელთან, იმის მიუხედავად, ნოტირებულია იგი, თუ მხოლოდ „მარხვანში“ იყო მოცემული, აღვნიშნეთ „დედანი“ ჰიმნის „მარხვანისეული“ მითითება (სანოტო წყაროებითურთ) და ის, თუ რამდენად იდენტური, მეტნაკლებად მონათესავე, ან განსხვავებულია კონკრეტული ჰიმნი, „მარხვანში“ მითითებული მისი მელოდიური დედნისაგან.⁴

³ მაგ., გიორგი მთაწმინდელისეულ „მარხვანსა“ და „დიდ სვინქსარში“ ჩანს, რომ ზოგიერთი რესპონსორული საგალობლის ცვალებად მუხლებს (ისევე, როგორც თანამედროვე მსახურებებში) გალობს ერთი ადამიანი (ძირითადად, დიაკვანი). ქორიძე-კერესელიძისეულ ჩანაწერებში კი, რესპონსორიუმები ძირითადად საგუნდო ანტიფონების სახითაა ნოტირებული, რაც მსახურების „სრული გალობის“ ჩატარების ქართულ ტრადიციას ასახავს.

⁴ საგალობელთა მელოდიური დედნების, „დედანი-ჰანგების“, კონტრაფაქტურის პრინციპზე დაფუძნებული „მსგავსის“ თუ „თვით-ავაჯების“ სისტემის შესახებ ჩვენ XXIII—XXV ტომების შესავლებში ვმსჯელობთ, შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითებით.

კონტრაფაქტურის მეთოდით საგალობლების განყოფილას ჩვენ გამოვიყენეთ, ამ ჰიმნთა „მარხვანისეული“ (ე.ი. ნ. სამხარაძის კვლევების თანახმად, ძირითადად, გიორგი მთაწმინდელისეული) მითითებები „დედან“ ჰანგებზე. ჩვენ მიერ განყოფილ ყოველ კონკრეტულ საგალობელთან აღვნიშნავთ, თუ რომელია მისი მოდელი-ინვარიანტი, „დედანი“.

იმ საგალობლებთანაც, რომელთა მხოლოდ I ხმაა ნოტირებული და II—III ხმები ჩვენი შეწყობილია, ყოველთვისაა სქოლიოში შესაბამისი აღნიშვნა. XXVI—XXVII (ისევე, როგორც XXIV—XXV) ტომებში ამ სამუშაოს დიდი ნაწილი ლევან ვეშაპიძის მიერაა შესრულებული — ზოგჯერ „გამშვენებული“, ზოგჯერ, „სადა“ სტილისათვის ნიშანდობლივი საკომპოზიციო ტექნიკის, მასთან, ზოგჯერ — ტრადიციული სამუსიკო ფოლკლორისათვის ჩვეული ფაქტურულ-ჰარმონიული ნაგებობების გამოყენებით (ცხადია, ე.წ. გელათის ან შემოქმედის სამგალობლო სკოლების ესთეტიკის კონტექსტში).

ანთოლოგიის XXVI—XXVII ტომებში ჩვენ მიერ განყოფილ მრავალ-ჰიმნიან ციკლებში, ძველი ნიმუშების მსგავსად, ვცდილობდით გავქცეოდით ერთი მელოდიური საფუძვლის მქონე განმეორებადი ნიმუშების ზუსტ ურთიერთ-კოპირებას და შემოგვექონდა ვარიანტული მრავალფეროვნება — პოეტური ტექსტის დრამატურგიიდან გამომდინარე. საგალობელთა განყოფილ-არანჟირებისას, ასევე, ვიყენებდით „სადა“ და „გამშვენებულ“ სტილებში გადაშენებისათვის ჩვეულ ტექნიკურ ხერხებსაც, მათ შორის — კილოური კოლორიტისა და მუხლთა მიხრილობის ცვლილებას. ეს მოვლენა ხშირია ქართულ საგალობლებში — როგორც ცალკეულ ჰიმნებში, ისე, ინვარიანტიდან ვარიანტების წარმოებისას. ამდენად, წინამდებარე ტომშიც, შესაძლებლად და საჭიროდ მივიჩნიეთ ასეთი კილოური ფერადოვნების შემოტანა.

* * *

აქვე გვსურს ყურადღება გავამახვილოთ 118-ე ფსალმუნის „ნეტარ არიან უბინონი“-ის წინამდებარე ტომში მოცემულ რეკონსტრუქციაზე.

ზოგადად, ცისკრის განგების და, განსაკუთრებით, დიდი შაბათის ცისკრის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს „ნეტარ არიანი“ — 118-ე ფსალმუნი.⁵ დიდ შაბათს ეს ფსალმუნი სამ ნაწილად — სამ სასვენადაა გაყოფილი და მის თითოეულ — 176-ვე მუხლს ანტიფონურად დაერთვის მაცხოვრის ვნებებისა და სიკვდილისადმი მიძღვნილი მცირე ზომის ჰიმნი. ამ ჰიმნებს ქართულ და ბერძნულ სამგალობლო-ლიტურგიკულ ლიტურატურაში ეწოდება „ქება“, ტროპარი ან (ბერძნულ- და ინგლისურ-ენოვან ეკლესიებში) „გოდება“.

⁵ ზოგიერთ ლიტურგიკულ პერიოდში „ნეტარ არიანს“ ცვლის ხოლმე უფრო სადღესასწაულო განწყობის მქონე სადიდებელი „აქებდით სახელსა უფლისასა“. იხ. ანთ., ტ. XIV:12.

„ნეტარ არიან უბიწონი“ (ისევე, როგორც სხვა ფსალმუნები) წარმოადგენს წინასწარმეტყველებას მაცხოვრის ამქვეყნიურ მოვლინებასა და გამომხსნელ მსხვერპლზე, ვნებებსა და აღდგომაზე. ცნობილი ლიტურგისტის, მ. სკაბალანოვიჩის თქმით (სკაბალანოვიჩი, 2008:641), ის არის უფლის „სჯულისადმი“ მიძღვნილი აღტაცებული ჰიმნი, რომელიც ასახავს მორწმუნის, მართლის მხურვალე და თავგანწირულ სიყვარულს ღმერთისადმი და მისგან მომადლებული „სჯულისადმი“, „სიმართლისადმი“, სწავლებისადმი, სარწმუნოებისადმი, სიყვარულისა და სიკეთის მცნებებისადმი; იგი ყველა სხვა ფსალმუნზე მეტად გამოსახავს რელიგიურ შეგრძნებებს და უდიდესი სითბოთი და სინაზით მოქმედებს მკითხველთა გულებზე და სწორედ ამ ყველაფრის გამოა ის შერჩეული და შეტანილი დიდი შაბათის ცისკარში, მაცხოვრის საფლავში დატირების მთავარ და ყველაზე ვრცელ საგალობლად. დიდი შაბათის ცისკრის მიბაძვით, ის იგალობება ყოველი ქრისტიანის „წესის აგების“ მსახურებაშიც.

„ნეტარ არიან უბიწონი“, IX—XV საუკუნეების ბერძნული ლიტურგიკული წყაროების თანახმად, ცისკრის უამის გამორჩეულ, ერთ-ერთ ცენტრალურ საგალობელს წარმოადგენდა ვნების შვიდეულის გარდა, სხვა ლიტურგიკულ პერიოდებშიც (სკაბალანოვიჩი, 2008:643). ბერძნული, ქართული და სლავური „მარხვანების“ და სხვა ლიტურგიკული ძეგლების თანახმად, ეს ფსალმუნი მეხუთე ხმის ჰანგით იგალობებოდა. დღეს, ადგილობრივ, მათ შორის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიების „მარხვანებისა“ და ლიტურგიკული ტრადიციების თანახმად, დიდ შაბათს, მისი I და II სასვენები („კაფიზმები“) მეხუთე, ხოლო III სასვენი მესამე ხმის ჰანგებით უნდა შესრულდეს.

სხვა ფსალმუნების მსგავსად, სავარაუდოდ, გვიან საუკუნეებში (თუმცა, ისტორიულ წყაროებში არ ჩანს, როდის), დამკვიდრდა 118-ე ფსალმუნის შემოკლებული, ე.წ. „გამოკრებილი“ მუხლების გალობის პრაქტიკა (ზოგჯერ რეფრენული ჩასართავებით, მათ შორის, ამ ფსალმუნიდან აღებული ყველაზე პოპულარული რეფრენით — „კურთხულ ხარ შენ, უფალო, მასწავნე მე სიმართლენი შენნი!“). ეს შემოკლება არ შეხებია დიდ შაბათს ამ ფსალმუნის ცისკარზე გალობის წესს — ბოლო საუკუნეებისა და თანამედროვე ქართულ, ბერძნულ, სლავურ, ინგლისურ (თუ ბერძნული და სლავურიდან სხვა ენებზე თარგმნილ) „მარხვანებში“ მითითებულია, რომ დიდ შაბათს 118-ე ფსალმუნის 176-ვე მუხლი უნდა იგალობოს, მათზე დართული „ქება“/„გოდება“-სთან და სამივე სასვენის ბოლოს „დიდება-ან და“-სთან ერთად. თუმცა, საფიქრებელია, რომ მართლმადიდებლურ ქვეყანათა მძიმე ისტორიული ცხოვრება-პირობების გამო, თუ ყველგან არა, სამრევლო ტაძრებში მაინც, დიდ შაბათს ეს ფსალმუნი და მასზე დართული „ქება“/„გოდებანი“ ან გალობის ნაცვლად იკითხებოდა და ან გარკვეულ-წილად მოკლდებოდა. ამაზე მიგვითითებს ის გარემოება, რომ თანამედროვე ბერძნულ და ინგლისურ-ენოვანი ეკლესიების სამგალობლო წიგნებსა თუ საიტებზე ამ ფსალმუნის

სამივე სასვენიდან მხოლოდ გამოკრებილი მუხლებია მოცემული ნევმირებული თუ ნოტირებული სახით; ასევე, ისიც, რომ დას. საქართველოს მრავალ-ათასეულ სამგალობლო მემკვიდრეობაში 118-ე ფსალმუნის ნოტირებული ვარიანტი არ შემორჩენილა.

დღევანდელ ლიტურგიკულ ცხოვრებაშიც, დიდი შაბათის ცისკარში „ნეტარ არიან უბინონი“ განსხვავებული თავისებურებებით სრულდება. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მღვდელმსახურთა — სრულიად შვეიცარიის მიტროპოლიტისა და ევროპის ეგზარქის მაქსიმე პოტოსისა და მისი არქიდიაკვნის გაბრიელ ბარათაშვილის ცნობები; ასევე, სამგალობლო ტრადიციების მკვლევრის, ევგენი სკურატის ინფორმაცია; ბერძნულ/სლავურ/ინგლისურ-ენოვანი სამგალობლო-ლიტურგიკული საიტების⁶ მონაცემები, დიდი შაბათის „ნეტარ არიან უბინონი“-ს შესახებ ასეთია:

ა) თანამედროვე ბერძნულ სამრევლო მსახურებაში „ნეტარ არიან უბინონი“ ხშირად მოკლდება — იგალობება ფსალმუნის და მათზე დართული ჰიმნების არა სრული, არამედ გამოკრებილი რაოდენობა (ზოგჯერ ფსალმუნის კითხვის პარალელურად სრულდება ხოლმე ჰიმნები); ხოლო სამონასტრო (განსაკუთრებით ათონის) მსახურებაში ეს ჰიმნი ძველი, სრული ტექსტითა და სრული გალობით აღესრულება;

ბ) ზოგან 118-ე ფსალმუნის მუხლებს კითხულობს/გალობს უპირატესი მღვდელმსახური, ხოლო გუნდი გალობს „ქებათა“/„გოდებათა“ ტროპებს, ზოგან ეს პირიქით ხდება — გუნდი ფსალმუნს გალობს, ხოლო უპირატესი მღვდელმსახური „ქება-გოდება“-ს. ე. სკურატის ცნობით, ბიზანტიური და სლავური ტრადიციების ამსახველ ლიტურგიკულ-მუსიკალურ ძეგლებში ჩანს, რომ ფსალმუნის მუხლებს გალობს კანანარქი, ხოლო ჩასართავ ჰიმნებს — გუნდი.

გ) თანამედროვე ბერძნულ და გვიან საუკუნეთა აღმოსავლეთ-სლავურ (რუსულ-უკრაინულ) ტრადიციებში, ფსალმოდისას საკუთარი (სხვა ლიტურგიკულ ჟანრთაგან განსხვავებული) რვა ხმის მელოდიები აქვს. ფსალმუნის რეჩიტაციის რვავე მელოდია სილაბურია და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ამბიტუსითა და განმეორებად-რეჩიტაციული და დამასრულებელი ტონების სიმალეებით. წყაროებისა და მკვლევართა (მათ შორის, ევგენი სკურატის ცნობათა) თანახმად, შუა საუკუნეების ბიზანტიურ ფსალმოდისას და მთლიანად გალობას, მათ შორის, დიდი შაბათის

⁶ <https://digitalchantstand.goarch.org/goa/dcs/dcs.html>
<http://ww1.antiochian.org/taxonomy/term/909?page=1>
http://ww1.antiochian.org/sites/default/files/holy_saturday_matins-1-god_is_the_lord-ckaram-wbnbn.pdf
http://ww1.antiochian.org/sites/default/files/holy_saturday_matins-lamentations1-htmck.pdf
http://ww1.antiochian.org/sites/default/files/holy_saturday_matins-lamentations2-htmck.pdf
http://ww1.antiochian.org/sites/default/files/holy_saturday_matins-lamentations3-htmck.pdf
<https://static1.squarespace.com/static/56bf85d4c6fc0810908bcbf7/t/57eac3db29687f7b395a88c8/1475003356581/matins-holy-saturday-booklet-v21.pdf>
<http://st-sergius.org/services/triod/76.pdf>
<https://www.archdiocese.ca/content/text-2>
<https://azbyka.ru/bogoslužhenie/strastnaya-sedmicza-velikaya-subbota>
<https://www.goarch.org/chapel/dcs>

ჰიმნებსაც, მოდალური ჰარმონია და დიატონური კილოები ახასიათებდა. იგივე თავისებურება აქვს ძველ ზნამეწურ და ძველ უკრაინულ-რუსულ მრავალხმიან გალობასაც.

დ) თანამედროვე ბერძნულ (მათ-შორის არაბულ-ენოვან) საპატრიარქოში, დიდი შაბათის „ნეტარ არიანის“ ფსალმოდირების/რეჩიტაციის მელოდია (I და II სასვენებში ე, ხოლო III სასვენში — გ ხმის) ქრომატიულია და განსხვავდება რვა ხმის ფსალმოდირი თუ სხვა ყანრების ჰიმნთა მელოდიებისაგან. ასევე, საკუთარი, სხვა ჰიმნთაგან განსხვავებული ჰანგები აქვს ამ დღის „ქებათა“/„გოდებათა“ ტროპებს.

რაც შეეხება ქართულ ტრადიციას, უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ დას. საქართველოს სამგალობლო ტრადიციის წყაროებში „ნეტარ არიან უბინონი“-ს არც ერთი ჩანაწერი არაა. აღმ. საქართველოს ტრადიციის, კარბელაშვილთა წყაროებში, „ნეტარ არიანი“ დაფიქსირებულია. მაგრამ, არც ერთ სანოტო ან აუდიო წყაროში დაფიქსირებული არაა ფსალმუნის მუხლებზე დასართავი „ქებანი“/„გოდებანი“. ეს მეტად საკვირველია, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ XIX საუკუნემდე მოსულ ქართულ საღვთისმსახურო ტრადიციაში, სახარების, სამოციქულოსა და სანინასწარმეტყველოს გარდა, ყველაფერი იგალობებოდა. ამაზე ანთოლოგიის წინა ტომებში ჩვენ არაერთგზის გავამახვილეთ ყურადღება და გამოვეცით ისეთი საგალობლები, სადაც, ძველი ქართული ტრადიციისამებრ, გუნდის მიერ იგალობება ის პოეტური ტექსტები, რომლებსაც სხვა ეკლესიებში (და თანამედროვე ქართულ მსახურებაშიც) კითხულობს ან გალობს მღვდელი, დიაკვანი, მედავითნე (ან კანანარქი).

ქართული ღვთისმსახურება პოლიფონიით და პოლიფონიის ღვთისმსახურება იყო. ამის მიუხედავად, სამწუხაროდ, ისტორიული ძეგლებედობის გამო, XIX—XX საუკუნეთა სანოტო ჩანაწერებში ფსალმუნთა საგუნდო შესრულების ტრადიციის ამსახველი მეტად მცირე რაოდენობის ნიმუშებია შემორჩენილი (იხ. ანთოლოგია, II, IV, VII, X, XI, XII, XIII, XIV, XV, XVII, XVIII, XIX, XXI ტომები).

როგორც აღვნიშნეთ, დიდი შაბათის „ნეტარ არიან უბინონი“-ს და მისი „ქებანი“/„გოდებანი“-ს სანოტო ჩანაწერები დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციების ამსახველ სანოტო წყაროებში არაა. ანთოლოგიის X ტომში შეგიძლიათ იხილოთ №233—235 ნიმუშები — ისინი სტეფანე კარბელაშვილის სანოტო ხელნაწერთა არქივიდანაა და მიცვალებულთა მსახურებისთვისაა ჩაწერილი. ეს საგალობლები ჭვ (VI) და „სულთა თანა“-ს იდენტური, სავარაუდოდ, ე (V) ხმებისაა. რაც შეეხება დიდი შაბათის „ნეტარ არიან“-ის ჩასართავ „ქებანს“/„გოდებანს“ — არც დასავლურ და არც აღმოსავლურ ქართულ სამგალობლო ტრადიციათა სანოტო წყაროებში ისინი არ მოიპოვება. არც თანამედროვე და არც გიორგი მთაწმინდელისეულ „მარხვანში“ და „დიდ სვინაქსარში“ არაა მითითებული „ნეტარ არიანის“ ან „ქებანის“/„გოდებანის“ მელოდიური წყარო-ორიგინალების შესახებ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გიორგი მთაწმინდელის „დიდ სვინაქსარში“ (დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი, 2017:370) და „მარხვანში“ (Sin. 61:43v) მეტად საინტერესო და ძვირფასი ცნობაა დაცული დიდი შაბათის ამ საგალობლის შესახებ:

„და თქუნენ ნეტარ-არიანნი; ბერძულად ალილუიადთა ითქუმოდინ ამას დღესა [ბერძენი „ალილუიას“ ურთავენ თითოეულ მუხლზე დიდ შაბათს 118-ე ფსალმუნს], ხოლო თქუნენ კულა [კვლავ, მაინც] ჩუენებურად, ნუ დასდებელთა [დართვით] ბრძანენით, ანუ ვითაცა ჯერ-გინდეს/ვითარცა გინდეს ბრძანეთ“.⁷

ეს ცნობა მეტად საინტერესოა და ნათელს ჰფენს, X—XI საუკუნეებში დიდ შაბათს 118-ე ფსალმუნის შესრულების ბერძნულ და ქართულ წესთა განსხვავებას. გიორგი მთაწმინდელის თანახმად, ბერძნულ-ბიზანტიურ სივრცეში 118-ე ფსალმუნს დიდ შაბათს თითოეულ მუხლზე „ალილუიას“ დართვით გალობდნენ, ხოლო ქართველებს ძველთაგანვე წესად ჰქონდათ, ფსალმუნზე დიდი შაბათის დასდებლების დართვა. ყველა (ქართულ, ბერძნულ, სლავურ, ინგლისურ და სხვ.) თანამედროვე „მარხვანში“ დიდი შაბათის ცისკარში 118-ე ფსალმუნში დასართავი „ქებანი“/„გოდებანი“/დასდებლებია მოცემული. გამოსაკვლევიან, რომელი საუკუნიდან დამკვიდრდა ისინი ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში, თუკი, გიორგი მთაწმინდელის ცნობით, X—XI საუკუნეებში ისინი ათონის მთაზეც კი არ იგალობებოდა ბერძნების მიერ.

ასევე, ეს ცნობა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ძველ საწიგნო წყაროებში 118-ე ფსალმუნის დასდებლები/„გოდებანი“/„ქებანი“ არ შემოგვრჩა, ისინი ნამდვილად იგალობებოდა — თუ საკუთარი არა, დასდებლების მელოდიებით მაინც.

ამ ცნობაში, ისევ და ისევ, კარგად ჩანს გიორგი მთაწმინდელის შემოქმედების, ერთი მხრივ, ანთოლოგიურ-ენციკლოპედიკური, საყოველთაო, საერთაშორისო გამოცდილების გამთვალისწინებელი კონცეფცია და, მეორე მხრივ — მისი ეროვნული, ქართული, თვითმყოფადობისა და უნიკალობის შენახვაზე მიმართული ხასიათი.

დიდ შაბათს, მსახურების მოცულობის (და ზოგადად, ვნების შვიდეულის ბოლო დღეების მსახურებათა სიგრძის და აღდგომის ღამისთვის მოახლოების) გამო საჭიროა, რაც შეიძლება რეჩიტატიულ-სილაბურ, დინამიურ და, იმავდროულად, მაცხოვრის ვნებათა მიმართ თაყვანის-ცემის ამსახველ, ლმობიერ და ტკბილ („მარხვანი“) ჰანგზე იგალობებოდეს 118-ე ფსალმუნის მუხლებისა და მათზე დართული ჰიმნების შთამბეჭდავი რაოდენობა — 300-ზე (!) მეტი საგალობელი.⁸

⁷ განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქართული გალობის გამორჩეულ მკვლევარსა და მცოდნეს, მონოზონ ნინო სამხარაძეს, გიორგი მთაწმინდელისეული ხელნაწერების ფოტოპირების, ტექსტებისა და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის ჩვენთვის უშურველად გაზიარებისათვის.

⁸ ამ მიზეზის გამო, XV ტომში გამოქვეყნებული, ჩვენ მიერ „აქედით-აუარებდით“-ის ჰანგებზე განყოფილი „ნეტარ არიან უბიწონი“-ს ვარიანტები დიდი შაბათის მსახურებისათვის არ გამოდგებოდა (მით უმეტეს, „ნეტარ არიან“-ის მესამე სასვენში, რომელიც, „მარხვანის“ თანახმად, დიდ შაბათს გ ხმის უნდა იყოს).

ამიტომ, წინამდებარე ტომში „ნეტარ არიან უბინონი“-ს და მის მუხლებზე დასართავი დასდებლების/„ქებათა“/„გოდებათა“ განყოფილება-გამოქვეყნებისას, დიდი შაბათის მსახურების თავისებურებებისა და მასშტაბის გათვალისწინებით, მელოდიურ წყაროებად გამოვიყენეთ ე და გ ხმების რეჩიტატიული მუხლები კონდაკებიდან, იპაკოებიდან, ფსალმუნის სტიქოლოგიათა წარდგომებიდან, „წმიდა არს უფალი“-დან და „გუნდნი ანგელოსთანი“-დან. კონკრეტული წყაროები პარტიტურაში, სქოლიოებში გვაქვს მითითებული. ამ მუსიკაზე პოეტური ტექსტის განყოფისას, ჩვენ, მელოდიურ ორიგინალებთან შედარებით, შევცვალეთ, გავამრავლეთ მარცვლების დადების ადგილები, რათა ჰანგები რაც შეიძლება სილაბურ-რეჩიტატიული ყოფილიყო.

აღმოსავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიციების დიდი შაბათის „ნეტარ არიან“ და „ქებანი“ ანთოლოგიის შესაბამის ტომებში დაიბეჭდება. აქვე დავძენთ, რომ ქართული გალობის თანამედროვე შემსრულებელთა და მოყვარულთა შორის ორნაირი მიდგომა არსებობს მსახურებაში ქართული სამგალობლო ტრადიციების შესრულებისადმი — ერთნი მიიჩნევენ, რომ ერთ ლიტურგიაში მხოლოდ ერთი სკოლისა და სტილის საგალობლები უნდა შესრულდეს. მეორეთ მიაჩნიათ, რომ თანამედროვე ეპოქაში, შესაძლებელია სხვადასხვა სკოლის, ტრადიციისა და სტილის ნიმუშების ჰარმონიული თანაარსებობა. ამ უკანასკნელი მიდგომის მიმდევრებს, ცხადია, შეუძლიათ, რომ დიდ შაბათს აღმოსავლურ ქართულ „ნეტარ არიან“-ის მუხლებს წინამდებარე ტომში მოცემული დასავლურ ქართული „ქებანი“/„გოდებანი“ დაურთონ, ან პირიქით (აქ უნდა გავიხსენოთ, რომ თავად ქორიძე-კერესელიძის და ხუნდაძის ხელნაწერებშია მოცემული ქართლ-კახური საგალობლების ჩანაწერებიც, მათ შორის, სისტემატიზებულ კრებულებშიც). ყოველ შემთხვევაში, ამ საკითხში მკაცრი კანონმდებლის უფლებებს ვერ მივანიჭებთ ჩვენს თავს. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ანთოლოგიის წინამდებარე, ისევე, როგორც სხვა ტომები, დიდ სამსახურს გაუწევენ ქართული გალობის შემსრულებელთა და გულშემატკივართ.

დიდი შაბათის „გალობანი“ ხელნაწერებში სრული სახითაცაა მოცემული (ხელნაწერში Q692, დაბეჭდილია ანთოლოგიის IX ტომში) და მისი ცალკეული საგალობლების ვარიანტები ქორიძე-კერესელიძისა და ხუნდაძის ხელნაწერებშიცაა გაბნეულად ჩანერილი. წინამდებარე ტომში მათ თავი მოვუყარეთ. ვინაიდან დიდი შაბათის ცისკრის და ამავე დღის (უშუალოდ აღდგომის მსახურების წინ) დიდი შაბათის შუალამიანის ჟამზე შესასრულებელი „გალობანი“ იდენტურნი არიან, ჩვენ მოგვიხდა მათი დიდი ნაწილის განმეორებით დაბეჭდვა წინამდებარე კრებულშიც, თუმცა, აქვე ჩამატებულია ქორიძის, კერესელიძისა და ხუნდაძის ხელნაწერებში მოცემული დიდი შაბათის კანონის ჰიმნთა სხვა ვარიანტებიც. მომავალში, როდესაც დასრულებულად გამოცემული ანთოლოგიის მიხედვით დაითვლება საგალობელთა საერთო რაოდენობა, ეს (და სხვა) განმეორებული ნიმუშები საერთო სათვალავში არ უნდა იქნეს შეყვანილი.

* * *

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბოლო საუკუნეების ქართულ „მარხვანებში“ და XIX—XX საუკუნეების სანოტო ჩანაწერებში, რომლებიც მიჰყვებიან ამ „მარხვანებს“, ვნების კვირის ზოგიერთი საგალობლის ხმები/იხოსები განსხვავდება თანამედროვე ბერძნული, სლავური და ინგლისური ეკლესიების პრაქტიკისაგან. მაგალითად, დიდი შაბათის ცისკრის კონდაკი „რომელმან დახშნა უფსკრულნი“ და იკოსი „მპყრობელი ყოველთა დაბადებულთა“ — ქართულ წყაროებში (თანამედროვე „მარხვანში“, ქორიძე-კერესელიძის ხელნაწერებში და გიორგი მთაწმინდელის „მარხვანში“) VII ხმისაა, უცხოურ მართლმადიდებლურ წყაროებში — VI ხმის. ასეთი შემთხვევები სხვა ნიმუშების შედარებისასაც იჩენს თავს. ამ ჰიმნთა ქართულ (როგორც ბოლო საუკუნეების, ისე გიორგი მთაწმინდელის) „მარხვანში“ დასახელებული მელოდიური დედნებიც იმავე ხმებისაა, რომლებსაც მათ მიხედვით აგებული საგალობლები მიეკუთვნება, რაც შეცდომას გამორიცხავს და ქართული წყაროების თანმიმდევრულობასა და სისტემურობაზე მიუთითებს. ვფიქრობთ, რვა ხმის სისტემის ქართულ და უცხოურ ჰიმნთა მსგავსება-განსხვავება მეტად საინტერესო თემა იქნება შუა საუკუნეების მუსიკის მკვლევართათვის და ჩვენი ანთოლოგია მათაც გაუწევს მომავალში გარკვეულ დახმარებას.

ქართულ და არაქართულ ღვთისმსახურებათა განსხვავებებზე საუბრისას, ალბათ, ყველაზე ნიშანდობლივი მაგალითი უნდა გავიხსენოთ — დიდი პარასკევის სერობის ქართული „გალობანი“ (ღვთისმშობლის გოდება) რომლის ძლისპირებიც და გარდასათქმელებიც (ტექსტები) განსხვავდება თანამედროვე ბერძნული, სლავური და ინგლისურ-ენოვანი ეკლესიების იმავე კანონისაგან.

* * *

სულ ანთოლოგიის XXVI—XXVII ტომებში დაბეჭდილია 147 საგალობელი, რომელთა დიდი ნაწილი პირველად ქვეყნდება.

XXVI—XXVII ტომების წყაროებში მოცემული სხვა დღესასწაულებისა თუ განგებების ჰიმნები, ანთოლოგიის მომდევნო ტომებში დაიბეჭდება.

ხელნაწერებში მოცემული მინაწერები თუ მითითება-აღნიშვნები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი სქოლიოებში, გარდა ჩვენ მიერ დარედაქტირებული ზოგიერთი ტერმინისა თუ სიტყვის მოძველებული ან არასწორი ფორმებისა და დიალექტიზმებისა.

სქოლიოებში, ჰიმნთა წყაროების გვერდების მითითებისას, გამოყენებულია პროექტის „ქართული ტრადიციული საგალობლების ხელნაწერთა ბაზა“ ფარგლებში დიგიტალიზებული ხელნაწერების ფოტოების პაგინაცია.⁹

⁹ <http://folk.gov.ge/baza/>

პოეტური ტექსტების რედაქტირებისას, დავეყრდენით, ბოლო საუკუნეებში პრაქტიკაში დამკვიდრებულ „მარხვანს“ და ნევმირებულ ძლისპირთა ძველ ქართულ ხელნაწერს A-603 (კიკნაძე, 1982), ზოგიერთ შემთხვევაში — გიორგი მთაწმინდელისეულ „მარხვანსა“ და „დიდ სვინაქსარს“ (დოლაქიძე, ჩიტუნაშვილი, 2017). ამ წყაროთა მიხედვით გვაქვს გასწორებული ნოტირებულ ჰიმნთა პოეტური ტექსტების გრამატიკული თუ შინაარსობრივი შეცდომები. პოეტური ტექსტების სხვადასხვა წყაროში აღმოჩენილი განსხვავებები (მაგ., მორფოლოგიური) აღნიშნული არ გვაქვს, ვინაიდან ეს სცდება ჩვენს კომპეტენციას და ანთოლოგიის მიზანსა და დანიშნულებას.

ანთოლოგიის სხვა ტომების მსგავსად, XXVI—XXVII ტომებშიც ვბეჭდავთ ზოგიერთი საგალობლის როგორც ხელნაწერისეულ, ასევე, თანამედროვე საღვთისმსახურო მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენ მიერ რედაქტირებულ ვარიანტებსაც. ასევე, ამ ტომებშიცაა მოცემული ცალკეული საგალობლის ისეთი „პარალელური“ ვერსიებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ჩვენ მიერ განსხვავებულად დასმული ალტერაციის ნიშნებით განსხვავდებიან.

როგორც მთლიანად ანთოლოგიაში, XXVI—XXVII ტომებშიც ჩვენი სარედაქტორო სამუშაო შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რალა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

საგალობლების ფრაზებად და მუხლებად დაყოფა (ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეების, წყვეტილი თუ მთლიანი ტაქტის ხაზების მეშვეობით) ჩვენი რედაქტირების შედეგია (რადგანაც, ხელნაწერებში, ცეზურები, ძირითადად ფერმატებითაა აღნიშნული, ან არაა მკაფიოდ გამოყოფილი). ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები...) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა. ისეთ აგოგიკური და ექსპრესიულ ნიუანსებს, რომლებიც ხელნაწერში მხოლოდ ქართულადაა ჩანერილი, ყველგან მივუწერეთ საერთაშორისო, იტალიური შესატყვისი.

დედნისეული ტექსტის ყველა სხვა ცვლილება პარტიტურის სქოლოებში, შენიშვნებში გვაქვს ასახული.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, XXVI—XXVII ტომებში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი

XXIV—XXV ტომებში გამოყენებული და დამონმებული ლიტერატურა,
ხელნაწერები და სანოტო გამოცემები

1. Ath. 38 – წმიდა გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული „მარხვანი“. დედანი დაცულია ათონის მთაზე;
2. Par-5 – წმიდა გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მნიშვნელობის „მარხვანი“, 1052 წელს გადაწერილი ნუსხა. დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში;
3. Sin. 61 – წმიდა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“, XI ს.. დაცულია სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს სახელობის მონასტერში;
4. დოლაქიძე, მანანა; ჩიტუნაშვილი, დალი (2017). *დიდი სვინაქსარი. გიორგი მთაწმინდელი*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა. თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2017;
5. კიკნაძე, გულნაზ (შემდგ.). (1982). *ნეკირებული ძლისპირნი: ხელნაწერი A-603*. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი: მეცნიერება, 1982;
6. „მარხვანი“, ტრიოდინი, რომელ არს სამ-საგალობელი. სტამბა ექვთიმე ხელაძისა, ქ. ტფილისი: 1901 წელი;
7. სამხარაძე, მონოზონი ნინო (2018). „შეხვეტილიანის“ ციკლის ისტორიული ჩამოყალიბებისა და მუსიკალური თავისებურებების კვლევის საკითხისთვის“. ქართული ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი, უაკ-78. გვ. 63-71;
8. სამხარაძე, მონოზონი ნინო (2019). „შეხვეტილიანი“ — ვნების პარასკევის დასდებლები ქართულ საღვთისმსახურო პრაქტიკაში (ისტორიული და მუსიკალურ-ლიტურგიკული ასპექტები). სამაგისტრო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია;
9. სამხარაძე, მონოზონი ნინო (2022). „ვნების პარასკევის კონდაკის კვლევის საკითხისთვის“. გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის XVII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, მოხსენება ხელნაწერის უფლებით;
10. ქორიძე, ფილიმონ. (1899). *მიცვალებულთა საგალობელი // პარტიტურა №3 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდელთა ხარჯით, გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან // ტფილისი : გამოცემა მ. შარაძისა, ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ვ. გძელიძისა, 1899;*
11. ქორიძე, ფილიმონ. (1901). *საგალობელნი პირველ შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა // პარტიტურა №2 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდელთა ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან; სარჩევში რომელ საგალობელსაც ვარსკვლავი უზის, გურიაშია დაწერილი და გადმოცემულია ანტონ ნ. დუმბაძისაგან // ტფილისი : გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. (ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ე. გრძელიძისა), 1901;*
12. შულღიაშვილი, დავით (2013). *ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი. წმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძის) და წმ. ექვთიმე*

აღმსარებლის (კერესელიძის) სანოტო ხელნაწერების მიხედვით. შემდგენლები: ვაჟა გვახარია, დავით შულღიაშვილი, ნინო რაზმაძე. თბილისი, 2013.

13. ხაჩიძე, ლელა (2022). *მარხვანი. წმ. გიორგი მთაწმიდელის რედაქცია*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და საძიებლები დაურთეს ლელა ხაჩიძემ, ექვთიმე კოჭლამაზიშვილმა, ლიანა ახოზაძემ და ეკა კვიციანიამ. ლელა ხაჩიძის რედაქტიითა და გამოცემით. თბილისი, 2022.

14. Скабалланович Михайл (2008). Толковый Типикон. Объяснительное изложение типикона. С историческим введением. Москва: Издательство Сретенского монастыря.

XXIV—XXV ტომებში გამოყენებული და დამონმებული სანოტო ხელნაწერები

1. H154-IV — *გურიაში დანერილი გალობა. რვეული მეთორმეტე*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. სარჩევი — ექვთიმე კერესელიძე. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

2. H154-V — *გურიაში დანერილი გალობა. რვეული მეცამეტე*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

3. H154-VI — *გურიაში დანერილი გალობა. რვეული მეხუთმეტე. მე-14*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

4. H154-VII — *გურიაში დანერილი გალობა. რვეული მეხუთმეტე*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. სარჩევი — ექვთიმე კერესელიძე. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

5. H154-VIII — *თბილისში დანერილი გალობა, ა. ე.-ს [არისტოვლე ქუთათელაძის] მიერ გადმოცემით, რვეული მეთექვსმეტე [საუფლო და დიდ დღესასწაულთა და ვნების კვირის საგალობლები]*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

6. H154-IX — *რვა ხმა ალილუია (ღმერთი უფალის მაგიერი); რვა ხმა სამწუხრო დასდებელნი. გურიაში დანერილი. მ. შარაძის და ე. კერესელიძის ხარჯით. რვეული მეჩვიდმეტე*. ფილიმონ ქორიძისა და ე. კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

7. Q666 — *პარტიტურა პირველი [სადღესასწაულო საგალობლები]*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

8. Q668 — *პარტიტურა მესამე. დიდ-მარხვის საგალობლის პარტიტურა*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

9. Q670 — *პარტიტურა მეხუთე. მიცვალებულის საგალობლების პარტიტურა. პარტიტურა მეხუთე (1893)*. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

10. Q672 — *სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა სამწუხრო საგალობელნი*. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

11. Q673 — *სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა პარაკლიტონი*. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

12. Q674 — *სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელმთავართათვის*. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

13. Q677 — *მეორე წიგნი, ქუთაისში დანერვილი რვეულები პირველი, მეცხრე და მერვე, სამ ხმაზე განყოფილი [იოანე ოქროპირის სამღვდელთმთავრო წირვის, მიცვალებულთა, ბასილი დიდის წირვის და მღვდლის კურთხევის საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
14. Q680 — *მეხუთე წიგნი. ქუთაისში დანერვილი. რვეული მეხუთე. სამ ხმაზე განყოფილი [დიდი მარხვისა და ვნების კვირის საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
15. Q683 — *მერვე წიგნი [წირვის, მწუხრის, ცისკრისა და დღესასწაულთა საგალობლები].* ფილიმონ ქორიძისა (?) და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
16. Q685 — *მეათე წიგნი, გურიაში დანერვილი რვეულები მეექვსე, მეშვიდე და მეთოთხმეტე [ცისკრისა და წირვის საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
17. Q687 — *მეთორმეტე წიგნი [ძლისპირები და სხვადასხვა საგალობლები].* ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
18. Q688 — *მეცამეტე წიგნი [მწუხრის, ცისკრისა და წირვის საგალობლები].* ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
19. Q689 — *წიგნი მეთოთხმეტე, სძლის-პირთა საგალობელნი.* ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
20. Q690 — *წიგნი მეთხუთმეტე. 15 რვეული არის ამ წიგნში ერთად მოთავსებული არისტოვლე ქუთათელაძისაგან გადაცემული და ფილიმონ ქორიძისაგან გადაღებული. დაწყებულია 1904 წ. ვათავდა 1905 წ. [საუფლო დღესასწაულების, დიდი მარხვისა და პარაკლიტონის საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის, ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
21. Q692 — *წიგნი 25. ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომის საგალობელთა.* ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
22. Q693 — *ოცდამეექვსე წიგნი. თორმეტი საუფლო სადღესასწაულო საგალობელნი, დასდებელნი და ფსალმუნთა წარდგომანი და რვა ხმა პარაკლიტონის გალობანი.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
23. Q694 — *ოცდამეშვიდე წიგნი. თბილისში დანერვილი გალობა. რვეული მეცხრამეტე.* ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
24. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2100. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
25. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2101. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
26. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2121. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
27. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2122. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
28. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2123. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
29. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2124. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი;
30. რაჟდენ ხუნდაძის არქივი, ხელნაწერი №2127. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი.

Introduction

(For volumes 26-27)

The hymns for Great Saturday shown in manuscripts belonging to Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze, and in Koridze's publications, are presented in Volumes 26-27 of the anthology.

The service for Great Saturday, on one hand, is an extension of the Great Friday service - the Passions of Christ, death and a redemptive sacrifice, the lamentations of the Theotokos, and believers mourning the death of Christ are the semantic, theological, philosophical, or ritualistic, musical essences of the service even here as well. At the same time, Great Saturday precedes the radiant feast day of Jesus' miraculous and redemptive Resurrection. Thus, together with the theme of mourning, the musical, liturgical essence of Great Saturday is gradually imbued with ideas and emotions relating to the expectancy of the Resurrection, faith, and joy. Like the services for the other days of Holy Week (especially Holy Thursday and Friday), the grandiose cycle unfolds over the course of several hours and participating and devout believers are gradually shifted from the melancholic mood regarding the torment and death of the God-Man, His burial, and the travails of Mary with a deceased child, to an anticipation of and encounter with the Resurrection.

The musical cycle of Great Saturday takes place over the course of several services - Matins, Vespers, the added Liturgy of Basil the Great, and the Midnight Office to be conducted right before the Paschal service. Added to the extensive musical material to be chanted at these services are exhaustive biblical readings - along with the Gospel and Epistles there are also quite large fragments (presaging the Christ's Passion and Resurrection) from prophetic books of the Old Testament. The litany and procession around the church with a decorated icon (frequently done with traditional embroidery) of the deceased Savior being taken down from the Cross and then the chanting of Psalm 118 using expressive hymns appended to the verses are especially beautiful and enjoy the love of believers. As per the people's faith, the Matins service of Great Saturday was called the Savior's Funeral Service - due to structural similarities with the funeral service ritual, the final service before a deceased person is buried. Clearly, it is semantically impossible to even compare the supplicatory rite for a departed soul to the service for Christ's Passion and Resurrection. But humanity's Christian vision and experience of the harmonious unity of the human and the divine within Jesus' personhood, the worldly fate of the Son of Man, and immediacy of the ordeals associated with the greatest pains of human life are truly evident in such a popular perception of the Great Saturday service...

The chants of the Western Georgian tradition for the mystery of Great Saturday are attested in manuscripts¹ (kept at the National Center of Manuscripts and the Folklore State Center) belonging to Philimon Koridze, Ekvtime Kereselidze, and Razhden Khundadze, and in P. Koridze's published scores. The individuals who sang these hymns for Koridze were Anton and Davit Dumbadze, Dimitri Chalaganidze, Aristovle Kutateladze, Ivliane Tsereteli, Razhden Khundadze, Melkisedek Nakashidze, Nestor Kontridze...²

The hymns for Great Saturday and their melodic "prototypes" shown in Volumes 26-27 of the anthology are gathered in 32 notated sources.

Manuscripts from the National Center of Manuscripts:

1. H154-IV	7. Q666	13. Q677	19. Q689
2. H154-V	8. Q668	14. Q680	20. Q690
3. H154-VI	9. Q670	15. Q683	21. Q692
4. H154-VII	10. Q672	16. Q685	22. Q693
5. H154-VIII	11. Q673	17. Q687	23. Q694
6. H154-IX	12. Q674	18. Q688	

Manuscripts from the Folklore State Center:

1. Khundadze, 2100	5. Khundadze, 2123
2. Khundadze, 2101	6. Khundadze, 2124
3. Khundadze, 2121	7. Khundadze, 2127
4. Khundadze, 2122	

Published Scores:

1. Koridze, 1899
2. Koridze, 1901

¹ Only a small number of Great Saturday hymns of the Eastern Georgian chant tradition, unfortunately, have been transcribed into notation by the Karbelashvili Brothers and others in an incomplete format. They will be printed in the corresponding anthology volumes.

² There are more specifics concerning this noted in the notated manuscripts by Koridze and Kereselidze, and in Koridze's publications. See, Shugliashvili 2013.

Like the services for Holy Thursday and Great Friday printed in Volumes 23-25 of the anthology, the service of Great Saturday is also not notated from beginning to end in full sequential order in any notated source. In some manuscripts, individual hymns, or groups of hymns (for example, the Canticles) for Matins or Vespers on Great Saturday are shown. According to the Triodion of previous centuries, we have gathered all the hymnodic material for Great Saturday from the aforementioned 32 sources and shown them as a single cycle - as they were sung over the centuries until the 19th century.

All the hymns for all the Great Saturday services are published in the present volumes 26 and 27.

Like in the case of Volumes 23-25 of the anthology, it will be pointed out that some of the Great Saturday hymns are fully transcribed in 3 voices, whereas others only have the first voice notated. There are also some chants that have survived in several variants, whereas others only have one preserved variant. Some of these are hymns which were not sung³ by a choir in early medieval sources or modern services, still they were chanted by choirs according to the Georgian liturgical tradition of the mid-late Middle Ages. Thus, it is entirely feasible to restore the tradition (when all liturgical texts were sung antiphonally by choirs, with the exception of the priest's prayers and biblical readings) of fully chanting the services of Great Thursday, Friday, and Saturday shown in Volumes 26-27 of the anthology.

Like Holy Thursday and Friday, it became necessary to arrange the chants not preserved in notated manuscripts to the melodic prototypes/sources indicated in the Triodion using the contrafactum method.

The editors have noted the Triodion reference of the original source hymn (with the notated sources) for each chant regardless of if it is notated or only shown in the Triodion, and also how identical, related, or discrepant a specific hymn is from its melodic prototype referenced in the Triodion.⁴

When arranging chants using the contrafactum method, the editors used the Triodion references to the original melodies (i.e., according to N. Samkharadze's studies, primarily George the Athonite's Triodion). It has been indicated for each specific chant arranged by the editors as to what its model invariant, prototype is.

It is always indicated in the footnotes as to which chants having only the first voice notated were arranged by the editors to include the middle and bass voices. Most of this work in Volumes 26-27 (as well as in 24-25) has been done by Levan Veshapidze - by

³ For example, it seems in George the Athonite's *Triodion* and *Great Synaxarion*, that the variable verses (as they are in modern services) of some responsorial hymns are chanted by one person (primarily a deacon). In the Koridze-Kereselidze transcriptions, however, the responsoriums are basically notated as choral antiphons, reflecting the Georgian tradition of fully chanting a service.

⁴ The automelon system founded on the contrafactum principle of the chants' melodic prototypes, their model melodies are discussed in the introductions to Volumes 23-25 with references to the appropriate academic literature.

using compositional techniques characteristic of the *gamshvenebuli* (ornamented) style in some cases, and in others of the *sada* (plainchant) style, and by employing textural, harmonic structures typical of traditional musical folklore (clearly within the aesthetical context of either the Gelati or Shemokmedi chant schools).

Like older works, the editors attempted to avoid precisely copying repeated examples having the same melodic foundation and introduce some variant diversity in the multi-hymn cycles they have arranged in Volumes 26-27 of the anthology - due to the dramaticism of the poetic texts. When harmonizing and arranging the chants, the editors also used some technical tricks typical for reworking chants in the ornamented and plainchant styles, including alterations in modal colorings and verse turns. These phenomena are frequent in Georgian chants - in individual hymns, as well as when producing other variants. Thus, it was deemed feasible and necessary by the editors to introduce similar modal diversity in the present volumes as well.

* * *

Here, the editors wish to focus on the reconstruction of Psalm 118 "Blessed Are Those Whose Way is Blameless" in the present volume.

In general, the central portion of the Matins service, and especially that of Great Saturday Matins, is represented by Psalm 118, "Blessed Are Those".⁵ On Great Saturday, this Psalm is split up into 3 parts - with 3 stases - and each of its 176 verses has a short hymn devoted to the Passion of Christ and His death added to it as an antiphon. In the Georgian and Greek liturgical chant literature these hymns are called either the Praises, troparia, or (in Greek and English-language churches) Lamentations.

"Blessed Are Those Whose Way is Blameless" (like other Psalms) represents a prophecy of Christ coming to this world and His redemptive sacrifice, Passion, and Resurrection. According to the well-known liturgist M. Skaballanovich (Скабалланович, 2008:641), it is an enraptured hymn devoted to the Lord's covenant reflecting a righteous believer's fervent and selfless love for God, the covenant and truth bestowed by Him, teachings, faith, and commandments of love and goodness. More than any other Psalm, it expresses religious sentiments and touches readers' hearts with immense warmth and tenderness, and it is due to all this that it has been chosen and included in Great Saturday Matins as the main and most extensive hymn mourning Christ in the tomb. In imitation of Great Saturday Matins, it is also sung at every Christian's funeral service.

According to 9th-15th century Greek liturgical sources, "Blessed Are Those Whose Way is Blameless" represented one of the distinguished, central chants of the Matins service

⁵ During some liturgical periods "Blessed Are Those" is replaced by a laudatory hymn with a more festive mood "Praise the Name of the Lord". See Anth. Vol. 14:12.

during other liturgical periods apart from Holy Week (Скабалланович, 2008:643). Based on Greek, Georgian, and Slavic Triodions and other liturgical works, this Psalm was chanted using a tone 5 melody. Today, in accordance with the Triodions and liturgical traditions of local churches, including the Georgian Church, the 1st and 2nd stases must be performed in tone 5, with the 3rd stasis in tone 3, on Great Saturday.

